უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების პრაქტიკა საქართველოში (მინსკის კონვენციის და სკსკ-ის შედარება)

თამთა თადიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ვაშაკიძე

აკადემიური ხარისხი: სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

”როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამთა თადიაშვილი

05.06.2017

აბსტრაქტი

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს შორის ,მუდმივად წარმოიშვება სამართლებრივი ურთიერთობები , რომლებიც რა თქმა უნდა საჭიროებენ შესაბამის რეგულირებას. სწორედ ასეთი ურთიერთობების დროს შესაძლებელია შეიქმნას მდგომარეობა, სადაც ირღვევა რომელიმე მხარის ინტერესები და უფლებები. თავისი დარღვეული უფლებების და ინტერესების დასაცავად მხარე მიმართავს სასამართლოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მხარეს სურს თავისი უფლებების აღდგენა მოხდეს საკუთარ ქვეყანაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება, რათა გამარტივებული გზით, პირმა მიმართოს თავისი ქვეყნის სასამართლოს, გადაწყვეტილების მის ტერიტორიაზე აღსასრულებლად. ყოველივე ზემოაღნიშნული ემსახურება პროცედურული კუთხით საქმის განხილვის გამარტივებას, ამ დროს არ ხდება საქმის ხელახალი განხილვა, ხდება მხოლოდ სხვა ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილებისათვის, ისეთივე იურიდიული ძალის მინიჭება, როგორიც მას ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი განხილვა მოხდებოდა მის ტერიტორიაზე.

Abstract

The importance of notice-execution of decree recognized by a foreign country gains more and more significance. Constant penal actions arise between individual and legal entities residing in different countries all over the world, which, indeed, require the corresponding regulation. Precisely such relationships may result the circumstance when the interest and rights of either party are violated. The party appeals a court in order to defend its infringed rights and interests, but in most occasions it desires to revest one's own rights in the native land. Truly, this is the purpose of the notice-execution of decree by foreign country for the person to address the court of one's native land in order to execute the judgment on his/her territory through simpler methods. All aforementioned serves

simplifying the case inspection according to the procedural means, in this case the new trial does not occur but granting such legal efficacy as it would have if the advocacy of this case took place on one's own territory.